

დ რ თ ე ბ ე

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 35. კვირა, 14 თებერვალი 1910 წ. დამატების № 7

ვინ არის ღამნაუზი?

(ვუძღვნი ზოგიერთ მშობლებს)

I.

მათრახი.

მეტად სასტიკი კაცი იყო სიმონ ღვერაძე. ყოველ დღე უთუოდ რამე მიზეზი უნდა ენახა, რომ მით საბუთი ჰქონოდა თავისებურად ყვირილი მოერთო. დაინახავდა თუ არა რასმე ულაგოთ დადებულს, იმის სისასტიკეს საზღვარი არა

ღი ბავშვი ხომ მუდამ ცქრილა და მოუსვენარია. მაგრამ სიმონი ვერ ურიგდებოდა თამროს ხასიათს.

— განა შეიძლება ისეთი მოუხვენარი ცხოვრება, როგორც მე მაქვს? — შესჩავლებდა ხოლმე იგი ცოლს კესას: — ნუ თუ აღარ უნდა მედიროსო თუნდ ერთი წუთით რყუდროება? ამ ცელქ ბავშვების წყალობით ძილიც კი არა მაქვს ისეთი, როგორც ჩემი ხნის კაცს ესაჭიროება. იცოდე, მათრახს მოვიტან და ყოველთვის, როცა იცელქებენ, მით ავუწვავ ზურგს მაგ არაწმინდებს! კინტი არ გავიგონო სახლში, კინტი, თორემ მოთმინება მეკარგება! სად მომხდარა,



უკატრონო.

ჰქონდა. ბავშვებმა, გიგამ და თამრომ, კარგად იცოდნენ მამის ახირებული ხასიათი და, რამდენადაც შეეძლოთ, ერიდებოდნენ და სკდილობდნენ, არაფერი ჩაედინათ მისი საწყენი. გიგა დიდი ხანია შეეჩვია მამის სისასტიკეს და დაშავებდა რასმე თუ არა ისეთ ტყუილს იტყოდა, რომ გატყუებას გადარჩებოდა ხოლმე. გიგა 14 წლისა იყო, თამრო კი მხოლოდ შვიდისა და ჯერ კიდევ არა ჰქონდა ძმის ოდენი მოხერხება და გამოცდილება. ამისათვის იყო, რომ როდესაც გიგას ერთი წკიპურტიც არა ჰხვდებოდა, თამრო ხშირად ყურებ აწითლებული და თვალცრემლიანი მიიბრუნდა დედასთან თავის დასაფარავად. ძალიან დაშინებული იყო ბავშვი, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა და ცელქობდა. ჯანსა-

რომ შვილებს მორიდება არა ჰქონდათ მამისა? — თამრო კარებს აპყუდებოდა, როგორც დიდი დამნაშავე, და მამის სასტიკ მუქარას ყურს უგდებდა. გიგა კი მეტად სთვლიდა ასეთ რამეზე დროს დაკარგვას და სათამაშოდ იყო. კესა მორჩილების ნიშნად თვალეში მისჩერებოდა ქმარს და ყოველ იმის სიტყვას თავის ქნევით აძლევდა პასუხს, თითქო ეუბნებოდა: „დეე, იყოს ნება შენო!“ არც შეეძლო, სხვა ნაირად მოქცეულიყო, რადგან იცოდა მისი ხასიათი. სიმონი ძნელად თუ ვისმე აპატიებდა შებრუნებულ სიტყვას, თუნდაც თითონა, ყოფილიყო მტყუანი: „კიდევ რო ვსტყუოდე, იტყოდა ხოლმე: — მაინც სიტყვა არ უნდა შემომიბრუნოთ, მე თქვენი უფროსი ვარო.“

გათავებდა თუ არა მუქარას, შევიდოდა ოთახში, რომ მისი აშფოთებული სული და გული დამზვიდებელიყო. თამრო კი დარჩებოდა დედასთან და, დარწმუნებული რომ მამა ვერ გაიგონებდა იმის სიტყვებს, ჩურჩულით ამბობდა: „დედა, რათ არის მამა ასეთი სასტიკი? რათ მიჯავრდება და მცემს ხოლმე?.. იცი, დედი, რა გითხრა? შენ მიყვარხარ,



ანასტასია თუშანიშვილი-წირთლისა.

(„ჯეჯილის“ არსებობის 20 წლის შესრულების გამო)

მამა კი არა.“ და ისეთის დაბალის ხმით იტყოდა ამ უკანასკნელ სიტყვებს, რომ ყურადღებად გადაქცეული დედა ძლივს გაიგონებდა ხოლმე. თან ეხვეოდა და ჰკოცნიდა დედას.

თამრო მამისაგან დატუქსული, დაშინებული, მთელის თავის არსებით მიენდო დედას და მხოლოდ იმის მკერდზე ჰპოებდა საიმედო თავშესაფარს.

ერთ დღეს, როცა სიმონი შინ არ იყო, თამრო სათამაშოდ გაჰყვა ძმას. დუქნის წინ თავი ნოყარათ ტოლ ბიჭებს და ბურთს თამაშობდნენ. გიგა და თამრო შეუერთდნენ მათ და გახურებული თამაში გააბეს. მოთამაშენი ორ ჯგუფად გაიყვნენ: ზემოაურებად და ქვემოაურებად და ორივე სკდილობდა გამარჯვებული გამოსულიყო ამ თამაშიდან. მალე ისე ეაცხარდნენ, რომ ერთმანეთს აღარ ინდობდნენ. ჩვენ პაწია მეგობრებს ტანისამოსი მთლად შემოახიეს. თამაშობას ბოლო არ უჩანდა. თამრო და გიგა შინ დაბრუნებას აღარ ფიქრობდნენ. უცებ ვიღამაც დაიძახა: „უჰ, რა მშინაო.“ თამრო გონს მოვიდა და მიჰხვდა, რომ სადილობის დრო დამდგარიყო. მაშინვე მოძებნა გიგა და, ცოტა თათბირის შემდეგ, ორივენი შინ გაემუზნენ.

ფეხაკრეფით ავიდნენ კიბეზე, მივიდნენ კარებთან და შეიხედეს—შინ იყო მამა თუ არა. ოთახიდან საშინელი ყვირილი მოესმათ: სიმონი ცემას დამუქრებოდა ერთსაცა და მეორესაც. გიგამ, რა გაიგონა ეს, ჩაირბინა კიბეზე და დაღამებამდე შინ არ დაბრუნებულა. იცოდა მამის ხასიათი: გავილოდა დრო და წყენა დაავიწყდებოდა. თამრომ კი სხვა ვერაფერი მოახერხა, შევიდა შინ, მივიდა მამასთან და დაჩოქებულმა პატიება სთხოვა.

საშინარი იყო ამ დროს სიმონი: ბავშვის ვედრებამ ვერ მოალობო იგი; წაავლო თმაში ხელი და სამჯერ ისეთი გადაჰკრა ახლად მოტანილი მათრახი, რომ ბავშვი გულშეწუხებული დაეცა. როდესაც მოსულიერდა, წამოსწია თავი და დაინახა დედა, რომელიც თვალცრემლიანი დასჩერებოდა. თამრო მის დანახვაზე წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და დარწმუნდა რა, რომ მამა იქ აღარ იყო, ტირილით ჩამოეკიდა დედას კისერზე...

II.

საშუალება.

მშვენიერი ზაფხულის დღე იდგა, მზე ის იყო ემზადებოდა თავისი ცხოველი სხივები მოეფინა დედამიწაზე და გათენება ემცნო ადამიანებისთვის. ყველა იღვიძებდა და თავის საქმეზე მიდიოდა. ურმებს კრიალი გაჰქონდათ. ნამი, კოკრებად მოფენილი მინდორ-ველზე, თანდათან თხელდებოდა, ჰაერში ინთქებოდა. ცა ფრინველთა ჭიკჭიკით ახმაურდა, აფერადდა, ბუ ნანგრევისაკენ მიექანებოდა, რომ იქ დღის სინათლეს დამალვოდა. ღამურამ ფრენა შესწყვიტა და ქერქვეშ ჩამოეკიდა, რომ არავის დაენახა და წყევლა-კრულვა არ გაეგზანა ამ უთვისტომოსათვის. ყველა ხარობდა, ყველა სტკებოდა ბუნების ამ ღიად სურათით. მაგრამ ამ საერთო მეჯლისში არ იყო ჩვენი თამრო: წინა დღით ძალზე ნაცემი, აღრე დაწვა და ადგომასაც არა ჩქარობდა, რომ დალილავებული ტანი კარგად მოშუშებოდა. მოულოდნელად გიგამ შეალო კარები. ერთხანს დააცქერდა იგი მიძინარე დას. მაგრამ რადგან სასწავლებელში წასვლა უგვიანდებოდა, ოდნავ საგრძნობელი მუჯღუგუნე ჰკრა: „აღე, თამრო! ხომ ხედავ, გათენდა?“ ეუბნებოდა წყნარად.

თამრო შეიშმუშნა, გაიხმორა, წამოსწია თავი და, თითქოს ერთი კვირის ნამძინარეგმა. გაშტერებული დაუწყო ცქერა თავის ძმას. შემდეგ ოთახში მიიხედ-მოიხედა და აკანკალებული ხმით ჰკითხა ძმას: „დედა ადგა? მამა?... მათრახი?... არა, არა! მეშინია! არ მინდა!“ სთქვა სასოწარკვეთილებით და ისევ ლოგინში ჩაწვა. კარგა ხანს დარჩა ასეთ მდგომარეობაში. ბოლოს ასწია თავი და უფრო მშვიდად ჰკითხა ძმას: „შენ რატომ სკოლაში არ მიდიხარ?“

— ახლავე წავალ.—ამ სიტყვებით დაჰხედა საათს და ელდა ეცა: სწავლა დიდი ხანია დაწყებული იქნებოდა. წასულიყო, მასწავლებლისაგან მაგარ საყვედურს მიიღებდა, არ წასულიყო და მამის რისხვას საღ გაექცეოდა? გიგამ ასეთ შემთხვევაში ბევრი რყევა არ იცოდა: ხელად გამოსძებნა დაგვიანების მიზეზი და უთხრა თამროს:



მსახიობი ქალი ვ. ვ. მელიქიანი.
(ხვალინდელ იუბილეს გამო).

— იცი, თამრო? როგორც მკითხავს მამა, რათ დიგვიანეო,“ მე ტყუილს ვეტყვი და შენც დამემოწმე... გესმ... ვერ გაათავა გიგამ სიტყვა, რომ სიმონიც შემოვიდა. — შენ აქ რა გინდა ამ დროს?

— საათი გაჩერებულა და მოგტყუვდი,— მიუგო (საათი კი აღრევე უკან დაეყენებინა):—თამროსაც ახლა გაეღვიძა და რადგან ყოველთვის აღრე იცის ადგომა, ვიფიქრე, უთუოდ აღრეა მეთქი...

სხვა დროს მამას იქნებ ეცემა კიდევ იმისთვის, მაგრამ ახლა გუშინდელი სისტიკის მსხვერპლი წარმოუდგა წინ და დარცხვენილმა თავი ჩაჰქინდრა. ეტყობოდა, თავის საქციელს ჰკიცხავდა და ჩუმად, მხოლოდ თვალებით იხდიდა ბოდიშს თამროს წინაშე.

— დარჩი, დარჩი!—უთხრა გიგას სიმონმა, ცოტა არ იყოს, მომბალი ხმით:—ახლა გვიანა, წასვლა აღარა ღირს მხოლოდ,—დაუმატა ხმამალლა:—ხეალიდან არ იცუღლუჭო და ერთი წამითაც არ დაიგვიანო!

ამ სიტყვებით გავიდა ოთახიდან და კარები გაიხურა.

— რა ეშმაკი ხარ, გიგა!—უთხრა თამრომ:—არა, როგორ მოახერხე, რომ ასეთი ტყუილი სტიკიც მამას? მე დავიბნეოდი და ვინ იცის, რამდენი მომხვდებოდა! ნეტა მეც შენსავით ვიცოდე ტყუილები... მაგრამ, არა, დედა ამბობს ხოლმე, ტყუილი ღიღი ცოდვავო...

— შე სულელო, მაშ ის კარგია, მამამ ქცემოს ხოლმე?..—მიუგო გიგამ.

— მეც მაგას არ ვამბობ: ტყუილი არ ვთქვა მაინც მცემს ხოლმე მამა, შენ კი სწორედ მაშინ გეფერება, როცა მართლა საცემი ხარ? — ცოტა დაფიქრდა თამრო სიჩუმის შემდეგ განაგრძო: — სიმართლე კარგიაო, დედა ამბობს, მაგრამ მე არა მჯერა...

გიგა ყურს აღარ უღებდა. იგი გაეარდა.

თამროს კი ჩაფიქრდა. ეტყობოდა, იმის პატარა თავში ღიღი მუშაობდა იყო. იჯდა ლოგინში და მისჩერებოდა ფანჯარას, რომელსაც მზის სხივები მოდგმოდნენ და თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: არა მე შევალ აღრე და არა მეო.

III.

პირველი ნაბიჯი.

წვიმიანი ღღე იყო. გორაკებიდან მრავალი ნაპრალი დაეშვა ძირს და, დღეებად ქცეულნი, მშვიერი მგლებივით შევარდნენ წმინდა, ანკარა მდინარეში, რომ აემღვრიათ და გაეღიღებინათ იგი. წითელი მდინარე ხმა მალდა ეპატიეებოდა მსურველთ და საჩუქარს უხვად ჰპირდებოდა. მრავალი ხალხი მიაწყდა მას: ჯგუფ-ჯგუფად ჩადიოდნენ შიგ და იმედიანად უსვამდნენ ფართო ბადეებს, რომ ზოგს საჭმელი თევზი ეშოვნა, ზოგს კიდევ გასასყიდი. არც გიგას გამოეპარა ეს შემთხვევა: იმანაც წამოავლო ხელი თავის მაძის ბადეს და თამროსთან ერთად მდინარისაკენ გაეშურა. მოლოდინმა არ უმტყუნა: ჯერ ორჯერ არ მოესვად ბადე, რომ თუთხმეტამდე თევზი ქონდა კალათში. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა:

— უჰ, დღეს რა ჩინებული სადილი გვექნება!—ხტუნვით ამბობდა თამრო. — მაგრამ ერთი რამე მაფიქრებს: მამა ძალიან გაგვიჯავრდება, რომ იმის დაუკითხვად წამოვედით სათევზაოდ. რა ვქნათ, გიგა? უთუოთ რამე უნდა მოვიგონოთ! ჰა? შენ ძალიან მოხერხებული ხარ ამისთანებში... — ეუბნებოდა თამრო და თან თავზეებს ითვლიდა.

— თამრო, თამრო ერთი შეხედე, რა წვერაა ხა! სწორედ გირვანქა გამოვა! — შესძახა ამ დროს გახარებული გიგამ.

— ძალიან კარგია, გიგა, მაგრამ წავიდეთ, თორემ მათრახი მოგვხვდება, დავიანდა...

გიგაც დასთანხმდა.

— გიგა! — ეუბნებოდა გზაზე თამრო: — ერთი აზრი მომივიდა, თუ შენც მოგეწონება: შინ რო მივალთ, შენ ძირს სარდაფში შეხვალ კალათიანათ, მე კი შინ შევიპარები და მშრალ ტანისამოს ჩამოვიტან; სველი ტანისამოსი გამოვიცვალეთ და მამას ვუთხრათ, თევზები ჩვენმა მეზობელმა შექრომ გვაჩუქა, რომელიც მდინარიდან მოდიოდა თქო.

გიგას მოეწონა ასეთი აზრი და წავიდნენ დაიმედებულნი შინისკენ.

სიმონი ღიღი ხნის მოსული იყო და რადგან თავს ცოტა უქეიფოდ ჰგძნობდა, შევიდა თუ არა სახლში, საწოლს მიაშურა და ისე ჩაეძინა, რომ თამროსა და გიგას დაგვიანება ვეღარ გაიგო.

ბავშვები მივიდნენ შინ თუ არა, გიგა სარდაფში შევიპარა, თამრო კი თუნაკრფით უკანა ოთახში შევიდა, რომელსაც სქელი კედელი ჰყოფდა სასადილოსაგან, სწრაფად გადაიწყო მკლავზე როგორც თავისი, ისე გიგას ტანისამოსი და ისე გასრილდა გარეთ, რომ არავის შეუმჩნევეს. პაწია მებადურებმა საჩქაროდ ტანისამოსი გამოიცვალეს და თევზებით სავსე ხელსახოცი დედას აუტანეს.

— ეს რა არის? — ჰკითხა გაოცებული გიგამ: — სად იშოვნეთ? ვინ მოგცათ?

თამრო თამამათ წასდგა წინ:

— ჩვენმა შექრომ გვითავაზა, — მიუგო: — კარგია განა? მართლა, მამა სად არის?

— სძინავს, შვილო, ცოტა უქეიფოთაა და გამოღვიძებამდი წყნარად იყავით.

სალამოზე მხიარული სუფრა ჰქონდათ და გამარჯვებული თამრო პირად გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ტყუილი მართლაც გამოსადეგი ყოფილა ბევრს შემთხვევაში.

IV.

ჯილდო.


გაზაფხულის ტკბილი დღეები იწყებოდა, ის დღეები, როცა სუსხიან ზამთრისაგან წელ-გაწყვეტილი ადამიანები ხელახლა იბადებიან, ყველაფერს შესტრფიან და ეალერსებიან. დღემდის დატყვევებული ობოლი სული, ბორკილებს თავს აღწევს და დაკარგულ მეგობრის სანახავად მიეშურება. ოცნება ფრთასა შლის და ცხრა მთას იქით მიჰფრინავს, რომ გვამცნოს ამბავი უხილავ ქვეყნის უხილავ შვილთა. ნეტარებისაგან ატოკებული გული ბუნების მეგლისს უერთდება და თავდავიწყებული ეწაფება მის მიერ უხვად გადაშლილ სიამეს. ჭია-ლუამაც ხვრელი მიატოვა და კლაკვნიტ გამოეთამაშა ღიღი ხნის უნახავს მზის სხივებს. ცას ნისლი გადაეყარა და გაისმა ფრინველთა საამო კიკიკი, რომელსაც ბანი მისცა დღემდის მიღუწებულმა მთამა და ბარმა. ყოველს სულდგმული ხარობდა.

სიმონსაც ესტუმრა ეს სიტყვობა: სადილად ოხუნჯობ-



მასწავლებელი მ. ი. კოზლოვსკი.

გარდაიცვალა 31 იანვარს. (იხ. „დროება“ № 27 და 32).



წყალდიდობა პარიზში.

ამას წინად მდ. სენა ისე მოდიოდა, რომ მოედნები და ქუჩები სულ დაჭფარა ამ სურათზე დომინიკის ქუჩაა. ნავებით დადიან.

და და იცინოდა, რაც იმის ოჯახში არაჩვეულებრივი იყო. ასე გასინჯეთ, თამრომაც კი შეამჩნია ეს და ამდენი ხნით დაყრუებული გული ნეტარებით აუტოკდა.

სადილს შემდეგ სიმონი დასაძინებლად წავიდა, ბავშვები-კი ეზოში გაიქცნენ სა-თამაშოდ. ჯერ თამაში არ დაეწყოთ, რომ ვიღამაც გარედან დაიძახა: „ვი, პატარავ, ერთ წამს აქ მოდი!“ თამრო გაექანა და ფოსტალიონს წერილი ჩამო-ართვა, რომელსაც სიმონის სახელი ეწე-რა. რადგან სიმონს ეძინა, ბავშვმა გა-დასწყვიტა წერილი საღამოთი გადაეცა. მზემ გადიხარა და უკანასკნელი მიმკვდა-რებული სხივი შოლტივით სტყორცნა ჩვენს მოთამაშეებს. თამრომ და გიგამ იგრძნეს, რომ სახლში წასვლის დრო იყო და თამაში შესწყვიტეს. იმ დროს შევი-დნენ სახლში, როცა ჩაი უკვე მზად იყო. ჩაის შემდეგ სიმონი სადღაც წავიდა და თამროს არც-კი მოჰგონებია წერილი.

მხოლოდ მესამე დღეს, როდესაც იგი ჩვეულებრივ თამაშობდა, გზად მიმავალი ფოსტალიონი დაინახა და ბარათ მოკლავდა. ბავშვი შიშმა შეიპყრო. როგორ მოქცეულიყო? რადგან სხვა ვერაფერი მოიგონა, გიგას დაუძახა და უთხრა:

— იცი, გიგა: გუშინწინ რომ ბარათი გადმომცა ფოს-

ტალიონმა, დღემდე ჯიბეში მიდევს. ვიცი, მამა მალევე მცემს ამისთვის და მე ვფიქრობ, სულ არ გავაზარალები, ხომ არაფერს იტყვი?

— ნუ გეშინიან, არაფერს ვიტყვი, — უთხრა ძმამ.

თამრომ სწრაფად დახია კონვერტი და იქვე მეზობლის ეზოში გადაყარა.

ნათესავი სწერდა სიმონს: „გივი ძლიერ ავადაა და შენ გზმობილობსო“.

გივი, 80 წლის მოხუცი, მდიდარი კაცი იყო. მას ჯერ ცოლშვილი არა ჰყავდა, რომ მამა მოუკვდა და დიდი სიმ-დიღრეც დაუტოვა. გივი მეტად მეცადინი კაცი იყო და მამისაგინ დატოვებულ მემკვიდრეობას არა თუ არ მოაკლო, ბევრიც მიუმატა. ცოლშვილს ადრე მოეკიდა, რომ პირდა-პირი მემკვიდრე ჰყოლოდა, მაგრამ ათ ქალ-ვაჟში მხოლოდ ორი ქალიდა შერჩა — ლიზა და სოფიო. ბევრი აღმოჩნდა გივის დამოყვრების მსურველი, და მოხუცმაც დიდი მზითევით გაათ-ხოვა ორივე ქალი. მისი ერთად-ერთი სურვილი იყო, ისე არ მომკვდარიყო, რომ ერთი შვილიშვილი მარც არ ენახა. მოხუცს აუსრულდა დიდი ხნის სურვილი და ერთის მაგივ-რად ჩამდგნიმე მემკვიდრე უცდიდა იმის სიკვდილის დღეს. ამ ორი ქალიშვილის გარდა გივის ჰყვანდა დისწუ-ლიც, ჩვენი ნაცნობი სიმონი. როცა გიგმა დაატყო, რომ აღარ შორჩებოდა, დაიბარა თავისი დისწული სიმონიც, რომ თავის დიდ სიმდიდრიდან მისთვისაც ერგუნებინა რამე. მაგრამ სიმონი არა სჩანდა. მომაკვდავის ქალიშვილებმა ისარგებლეს იმის დაგვიანებით და ნახევრად გონებადაკარგულ მამას ან-დერძში სიმონი გამოატოვებინეს.


სწორედ დილის 9 საათი იყო, კესაჩაის თადარიგს შეუდგა და ის იყო ასხამდა, რომ ხარის წკრიალი შემოესმა. საჩქაროდ გაიდა კარი და ფოსტალიონს კონვერტი ჩამოარ-თვა, რომელსაც გარშემო შავი არშია ჰქონდა შემოვლებული.

— უთუოდ ცუდი ამბავია! — სთქვა თავის გულში კე-სამ და გადასცა სიმონს სამგლოვიარო კონვერტი.

სიმონმა გულის ფანტქალით გახსნა იგი, ჩამოიღო ცხვირ-ზე სათვალეები და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაიკითხა შემდეგი:

„ბატონო სიმონ! ერთი კვირაა მას შემდეგ, რაც თქვე-ნი ბიძის გივის მძიმე ავადმყოფობა გაუწყეთ. მომაკვდავი ხშირად გახსენებდათ და ძალიან უნდოდა, უკანასკნელად ენახეთ. მაგრამ, რაღაც მიზეზისა გამო, თქვენ არ მოხვე-დით. გუშინ, დიდი ტანჯვის შემდეგ, ავადმყოფმა სული განუტევა. დიდათ ვწუხვარ, რომ ჩვენთან ერთად თქვენც არა ხართ ანდერძში მოხსენებული. მიიღეთ ჩვენი თანა-გრძნობა. ლიზა.“

სიმონი გაშრა, სულ ერთიან აცახცახდა, ხელიდან წე-რილი გაუვარდა და იქვე სკამზე დაეცა. დიდხანს იჯდა იგი



წყალდიდობა პარიზში.

უძრავად თავზარდაცემული, უსიტყვოდ მისჩერებოდა იქვე კარებზე ჩამოკიდებულს მეგობარს მათრახს და ვერ მიმხვდა-რიყო — ვინ იყო მისი უბედურების მიზეზი, რომ ერთი ლა-ზათიანად აეჭკრებინა მისი ზურგი.

ვ. დუნდუა.